განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი

შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი ალტერბრიჯი

შეფასების თარიღი
23/09/2021

დასკვნის წარდგენის თარიღი

19/10/2021

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი „ალტერბრიჯი“
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	405284473
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	-
სწავლების ენა	ინგლისური
ECTS კრედიტების რაოდენობა	240 ECTS
პროგრამის სტ5ატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი

[1] ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ვასილ კიკუტაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნათია დაღელიშვილი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	სოფიო უგრეხელიძე, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ თავხელიძე, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა ახალია და შედგენილია შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზის შედეგად. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შექმნილია როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოური უნივერსიტეტების გამოცდილებებზე დაყრდნობით, საუკეთესო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე. პროგრამა ორიენტირებულია მოამზადოს ისეთი ცოდნითა და უნარებით აღჭურვილი კურსდამთავრებულები, რომლებიც იქნებიან კონკურენტუნარიანი კადრები, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო შრომის ბაზარზე. პროგრამა მოიცავს 240 ECTS, რომელიც გადანაწილებულია 4 აკადემიური წლის, 8 სემესტრის განმავლობაში. პროგრამის სტრუქტურა წარმოდგენილია შემდეგი სახით:

- ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები - 148 ECTS;
- თავისუფალი კომპონენტი (სავალდებულო), რომელიც ორიენტირებულია ზოგადი, ტრანსფერული უნარების განვითარებაზე - 18 ECTS;
- ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები 50 ECTS;
- არჩევითი სასწავლო კურსები / პროგრამის თავისუფალი კრედიტები - 24 ECTS,

პროგრამაზე განსაზღვრულია მიღების წინაპირობები, კერძოდ, ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვთ სრული ზოგადი განათლების ატესტატის მქონე საქართველოს მოქალაქეებს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების (ინგლისურ ენაში მინიმუმ 60 ქულის მიღების) საფუძველზე. ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის, სასწავლო უნივერსიტეტში სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა დასაშვებია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (საქართველოს კანონი ,,უმაღლესი განათლების შესახებ“, მუხლი 52). ამასთან, პროგრამაზე სწავლის აუცილებელი

წინაპირობაა B2 დონის ფლობა ინგლისურ ენაში, შესაბამისად სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის მოპოვების შემდეგ პირი ვალდებულია დაადასტუროს ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის გზით ან წარმოადგინოს შესაბამისი სერთიფიკატი. პროგრამის განხორციელებას ემსახურება 32 აკადემიური და მოწვეული პერსონალი. მათ შორის 19 აფილირებულია უნივერსიტეტთან.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტში ,,ალტერბრიჯი" აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროგრამის შეფასება განხორციელდა ონლაინ რეჟიმში ზუმის პლატფორმის გამოყენებით 2021 წლის 23 სექტემბერს. ვიზიტის ფარგლებში, განხორციელდა დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა შეხვედრა, მათ შორის: პროგრამის ხელმძღვანელთან, მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან, უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან. ვიზიტის პროცესში ექსპერტთა ჯგუფს მიეცა შესაძლებლობა ონლაინ რეჟიმში დაეთვალიერებინა დაწესებულების სასწავლო ინფრასტრუქტურა და ბიბლიოთეკა. გადამოწმდა წიგნების ხელმისაწვდომობა. დაწესებულებამ, თავის მხრივ, უზრუნველყო მშვიდ აკადემიურ გარემოში ვიზიტის პროცესის განხორციელება.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფის შეფასებითა და არსებული წესის გათვალისწინებით დადგინდა, რომ:

- **პირველი სტანდარტი** - **შესაბამისობაშია** სტანდარტის მოთხოვნებთან, შესაბამისად 1.1 კომპონენტი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, ხოლო 1.2 კომპონენტი მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
- **მეორე სტანდარტი** - **მეტწილ შესაბამისობაშია** სტანდარტის მოთხოვნებთან, რადგანაც აღნიშნული სტანდარტის მხოლოდ 2.1, 2.4, 2.5. და 2.6 კომპონენტია სრულ შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან, ხოლო 2.2 და 2.3 კომპონენტები მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
- **მესამე სტანდარტი** - **შესაბამისობაშია** სტანდარტის მოთხოვნებთან, რადგანაც მოცემულ სტანდარტში 3.1 კომპონენტი სრულ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, 3.2 კომპონენტი კი პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით არ შეფასებულა;
- **მეოთხე სტანდარტი** - **შესაბამისობაშია** სტანდარტის მოთხოვნებთან, რადგანაც მოცემულ სტანდარტში 4.1, 4.2, 4.3 და 4.4 კომპონენტი სრულ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
- **მეხუთე სტანდარტი** - **შესაბამისობაშია** სტანდარტის მოთხოვნებთან, შესაბამისად 5.1, 5.2 და 5.3 კომპონენტები შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**
  - რეკომენდებულია გადახედილი იქნეს სავალდებულო საბაზისო სასწავლო კურსების: მენეჯმენტის საფუძვლები, მარკეტინგის საფუძვლები, ლიდერობის საფუძვლები, ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები, მეწარმეობა, ბიზნეს კომუნიკაციები და ფინანსების საფუძვლები მონაწილეობის საკითხი პროგრამის სწავლის შედეგების განმტკიცებაში;
  - რეკომენდებულია პროგრამისთვის ცალკე იყოს გაწერილი სამიზნე ნიშნულები, რათა შესაძლებელი იყოს პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის შეფასების შედეგების მონიტორინგი და მათი დადარება სამიზნე ნიშნულებთან;
  - რეკომენდებულია სასწავლო კურსს ,,ოპერაციების მართვა" შეეცვალოს სტატუსი და გახდეს პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსი;
  - რეკომენდებულია ზოგიერთი სასწავლო კურსის (მაგალითად: ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები, საგარეო ვაჭრობა და პოლიტიკა) შინაარსის სრულყოფა. ასევე ზოგიერთ სასწავლო კურსში (მაგალითად: ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები, ბიზნეს კომუნიკაციები, მეწარმეობა, ბიზნესის კვლევის მეთოდები, მარკეტინგის საფუძვლები, მეწარმეობა, ორგანიზაციული განვითარება, პროექტების მენეჯმენტი) საჭიროა სწავლის შედეგების დახვეწა, განვრცობა საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით;
  - რეკომენდებულია ,,საბაკალავრო ნაშრომისა" და ,,პრაქტიკისათვის" დაკონკრეტდეს მოსალოდნელი სწავლის შედეგები და სრულად იქნეს აღნიშნული გათვალისწინებული პროგრამის სწავლის შედეგების განმტკიცების ნაწილში, პროგრამის სასწავლო კურსების და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკაზე;
  - რეკომენდებულია ერთმანეთთან შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის ინგლისურენოვანი და ქართულენოვანი სასწავლო კურსების სილაბუსები, კერძოდ, საჭიროა, ქართულენოვანი სილაბუსები მოვიდეს შესაბამისობაში ინგლისურენოვან სილაბუსებთან.
  - რეკომენდებულია ცალკეულ სასწავლო კურსებში (ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები, მარკეტინგის საფუძვლები, ბიზნესის სტატისტიკა 1 და 2, მომხმარებლის ქცევა, ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები და .აშ.), გამოყენებული სავალდებულო ლიტერატურის განახლება არსებული უახლესი გამოცემებით, გარდა ამისა საჭიროა ყველა იმ სასწავლო კურსის სილაბუსში, სადაც არ არის დაკონკრეტებული გამოყენებული ლიტერატურის გამოცემის წლები, მოხდეს მათი გამოცემის წლების იდენტიფიცირება;

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
  - სასურველია პროგრამის სწავლის შედეგების ამსახველ რუკაზე ფიგურირებდეს მხოლოდ პროგრამის სავალდებულო კომპონენტები, ხოლო თუ დაწესებულებას სურს პროგრამის არჩევით/თავისუფალ კომპონენტებთანაც მიმართებითაც განახორციელოს პროგრამის

სწავლის შედეგების შესაბამისობის დადგენა, ზედმეტი გაურკვევლობების თავიდან აცილების მიზნით, შესაძლებელია ასეთი დოკუმენტის ცალკე მომზადება;

- სასურველია საბაკალავრო ნაშრომი, რომელიც თავისი კვლევითი ხასიათის მიუხედავად, პროგრამის სასწავლო კომპონენტია, შეფასებული იქნეს მხოლოდ საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელის მიერ, მოხდეს მისი შემოწმება უნივერსიტეტში არსებული ანტიპლაგიატის პროგრამაზე ,,თურნითინი" და წარდგენილი იქნეს დასკვნითი შეფასებისათვის კომისიის წინაშე;
- სასწავლო კურსში ლიდერობის საფუძვლები პრეზენტაციის უნარების შეფასებისას გამორჩენილია ერთ-ერთი შეფასების ბიჯი, კერძოდ, ბუნდოვანია რა შემთხვევაში ხდება 1-2 ქულის მიღება მოცემულ კომპონენტში, გამომდინარე აქედან, სასურველია აღნიშნული ტექნიკური ხარვეზის დაკორექტირება;
- სასურველია პროგრამაში მეტად დაკონკრეტდეს პროგრამაზე მიღების წინაპირობა უცხო ენის ნაწილში, კერძოდ, მიეთითოს შიდა გამოცდის ჩაბარების აუცილებლობა ან პროგრამაშივე განისაზღვროს თუ რომელ სერტიფიკატებს უღიარებს დაწესებულება პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველებს, ასევე მითითებულ იქნეს, რომ უცხო ენაში B2 დონის კომპეტენციის დაუდასტურებლობა აბიტურიენტთა მიერ, წარმოადგენს ჩარიცხვაზე უარის თქმის საფუძველს.
- სასურველია, დროულად განხორციელდეს ბიზნეს კომუნიკაციების სასწავლო კურსის სილაბუსში მითითებული ლიტერატურის სრული სინქრონიზაცია ბიბლიოთეკის ელ. ბაზებთან.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**
  - სასწავლო უნივერსიტეტის ორგანიზებითა და სრული დაფინანსებით ტრენინგებსა და სემინარებს ახორციელებს "ინოვაციური განათლების ცენტრი" და ,,ალტებრიჯის ტრენინგ ცენტრი". აღნიშნულ ტრენინგებსა და სემინარებზე აკადემიური პერსონალი ღებულობს მნიშვნელოვან კომპეტენციას სწავლის და სწავლების თანამედროვე მეთოდების შესახებ (შერეული სწავლება, დისტანციური სწავლება და სხვა), რომელთა დანერგვა მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს პროგრამის წარმატებულ განხორციელებაში. ტრენინგების ციკლი მოიცავს შემდეგ თემებს: აკრედიტაციისთვის საგანმანათლებლო პროგრამის მომზადება; კვლევის და კვლევითი პროექტების სწორად დაგეგმვა და განხორციელება; აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების განვითარება. იგეგმება ასევე აკადემიური პერსონალისთვის ახალი ტრენინგ მოდულების შექმნა და ტრენინგების ჩატარების ორგანიზება.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

- **დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია:**

შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტმა ალტერბრიჯმა წარმოადგინა თავისი პოზიცია „ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასკვნის პროექტში მოყვანილ გარემოებებთან დაკავშირებით (წერილი - №1101379; 18/10/2021წ.). წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციაში მოყვანილი გარემოებების გათვალისწინებით ექსპერტთა ჯგუფმა იმსჯელა დასკვნის პროექტში არსებულ რეკომენდაციებზე და მიზანშეწონილად მიიჩნია, მე-2 სტანდარტის 2.1 კომპონენტის შეფასების კორექტირება, კერძოდ, შეფასება განისაზღვრა როგორც შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, ნაცვლად მეტწილი შესაბამისობისა. შესაბამისად, მოცემულ კომპონენტში არსებულმა რეკომენდაციამ გადაინაცვლა რჩევებში. დასკვნის პროექტში არსებული სხვა რეკომენდაციები არ შეცვლილა.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამას განსაზღვრული აქვს კონკრეტული მიზნები, რომლებიც კარგად აღწერს იმ ცოდნასა და უნარებს, რასაც უნდა ფლობდეს მოცემული პროგრამის კურსდამთავრებული. ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა ორიენტირებულია მოამზადოს ისეთი ცოდნითა და უნარებით აღჭურვილი კურსდამთავრებულები, რომლებიც იქნებიან კონკურენტუნარიანი კადრები, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო შრომის ბაზარზე. პროგრამის მიზნები შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან, რომლის მიხედვითაც, სასწავლო უნივერსიტეტის მისიაა მისცეს ადამიანებს პიროვნული და პროფესიული თვითრეალიზების ახალი შესაძლებლობები, რისთვისაც ქმნის კვლევისა და ცოდნის მიღების ხელმისაწვდომ პირობებს, აყალიბებს საერთაშორისო პლატფორმას განათლებისა და შრომის ბაზრის ურთიერთქმედებისთვის, ხელს უწყობს ქვეყანაში საზოგადოებრივი ურთიერთობების გაუმჯობესებას. პროგრამის მიზნები მიღწევადია და ითვალისწინებს დაწესებულების მიერ ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევის შედეგებით განსაზღვრულ მოთხოვნებს, შესაბამისად, ცხადია, რომ პროგრამას კონკურენტუნარიანი კურსდამთავრებულების მომზადებით შეუძლია საკუთარი წვლილი შეიტანოს როგორც სფეროს, ისე საზოგადოების განვითარებაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ ბიზნეს ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; ▪ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ▪ ალტერბრიჯის მისია - https://alterbridge.edu.ge/mission-vision-values/; ▪ შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზის დოკუმენტი;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამას გააჩნია განსაზღვრული სწავლის შედეგები, რაც შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებს და მოიცავს პროგრამის შინაარსით გათვალისწინებულ ცოდნა-გაცნობიერებას, უნარებს, პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები გაზომვადია და რეალისტურად მიღწევადი, შეესაბამება კვალიფიკაციის მეექვსე დონეს და მისანიჭებელ აკადემიურ ხარისხს. პროგრამას თან ახლავს პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა, სადაც განსაზღვრულია პროგრამის ოთხი მიზნის და ექვსი შედეგის შესაბამისობის ლოგიკა. ამასთან, პროგრამის სწავლის შედეგების შედგენისას გამოყენებულია ე.წ. ,,ბლუმის" ტაქსონომიის აქტიური ზმნები, რაც კიდევ უფრო უწყობს ხელს პროგრამის სწავლის შედეგების გაზომვადობის უზრუნველყოფას. პროგრამის სწავლის შედეგების რუკაზე აღნიშნულია, რომ პროგრამის საბაზისო სასწავლო კურსები (მენეჯმენტის საფუძვლები, მარკეტინგის საფუძვლები, ლიდერობის საფუძვლები, ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები, მეწარმეობა, ბიზნეს კომუნიკაციები, ფინანსების საფუძვლები და ა.შ.). მონაწილეობს პროგრამის სწავლის შედეგების განმტკიცებაში, რაც მიგვაჩნია რომ გადასახედია, იმდენად რამდენადაც, როგორც წესი ე.წ. საბაზისო კურსები მათი შინაარსის, სწავლის შედეგების, სწავლა-სწავლების და შეფასების მეთოდების სპეციფიკის გათვალისწინებით

ემსახურება პროგრამის სწავლის შედეგების გაცნობას. გამომდინარე აქედან, მიგვაჩნია, რომ მიზანშეწონილია გადახედილი იქნეს სავალდებულო საბაზისო სასწავლო კურსების: მენეჯმენტის საფუძვლები, მარკეტინგის საფუძვლები, ლიდერობის საფუძვლები, ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები, მეწარმეობა, ბიზნეს კომუნიკაციები, ფინანსების საფუძვლები და ა.შ. მონაწილეობის საკითხი პროგრამის სწავლის შედეგების განმტკიცებაში.

აღსანიშნავია, ისიც რომ დაწესებულებაში მოქმედებს ,,პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი", რომელშიც გაწერილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების ინდიკატორები, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების წესი, საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება, საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები და ინსტრუმენტები, სამიზნე ნიშნულები, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ეტაპები. დაწესებულებაში მოქმედი ,,პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი" უზრუნველყოფს დაწესებულებაში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების დაგეგმვის, გაზომვის, ანალიზის და შეფასების პროცედურების შესაბამისობას აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან.

დაწესებულებაში მოქმედი პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის შესახებ ინფორმაცია ცნობილია პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის. მათ უტარდებათ ტრენინგები ახალი აკრედიტაციისა და ავტორიზაციის სტანდარტების, ESG-2015, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების მიზნით, სწავლის შედეგების გაზომვისა და ანალიზის უნარების განვითარებისთვის.

ასევე, მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა ახალია და ჯერ არ ჰყოლია სტუდენტი, რეკომენდებულია, პროგრამისთვის ცალკე იყოს გაწერილი სამიზნე ნიშნულები, რათა შესაძლებელი იყოს პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის შეფასების შედეგების მონიტორინგი და მათი დადარება სამიზნე ნიშნულებთან.

აღსანიშნავია, რომ პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებს, მაშასადამე ასახავს შრომის ბაზრის მოთხოვნებს და იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობასაც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიზნეს ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზის დოკუმენტი;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან;

▪ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: https://alterbridge.edu.ge/regulatory-documents/;
რეკომენდაციები: ▪ რეკომენდებულია, გადახედილი იქნეს საბაზისო სავალდებულო სასწავლო კურსების: მენეჯმენტის საფუძვლები, მარკეტინგის საფუძვლები, ლიდერობის საფუძვლები, ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები, მეწარმეობა, ბიზნეს კომუნიკაციები, ფინანსების საფუძვლები და ა.შ. მონაწილეობის საკითხი პროგრამის სწავლის შედეგების განმტკიცებაში; ▪ რეკომენდებულია, პროგრამისთვის ცალკე იყოს გაწერილი სამიზნე ნიშნულები, რათა შესაძლებელი იყოს პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის შეფასების შედეგების მონიტორინგი და მათი დადარება სამიზნე ნიშნულებთან;
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ▪ სასურველია პროგრამის სწავლის შედეგების ამსახველ რუკაზე ფიგურირებდეს მხოლოდ პროგრამის სავალდებულო კომპონენტები, ხოლო თუ დაწესებულებას სურს პროგრამის არჩევით/თავისუფალ კომპონენტებთანაც მიმართებითაც განახორციელოს პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობის დადგენა, ზედმეტი გაურკვევლობების თავიდან აცილების მიზნით შესაძლებელია ასეთი დოკუმენტის ცალკე მომზადება;
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **√ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია	მეტწილად	ნაწილობრივ	არ არის

	მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განსაზღვრული დაშვების წინაპირობები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, გაწერილია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის. ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვთ სრული ზოგადი განათლების ატესტატის მქონე საქართველოს მოქალაქეებს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების (ინგლისურ ენაში მინიმუმ 60 ქულის მიღების) საფუძველზე. ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის, სასწავლო უნივერსიტეტში სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა დასაშვებია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (საქართველოს კანონი ,,უმაღლესი განათლების შესახებ“, მუხლი 52). ამასთან, პროგრამაზე სწავლის აუცილებელი წინაპირობაა B2 დონის ფლობა ინგლისურ ენაში, შესაბამისად, სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის მოპოვების შემდეგ, პირი ვალდებულია დაადასტუროს ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის გზით ან წარმოადგინოს შესაბამისი სერთიფიკატი. სასწავლო პროცესის

მარეგულირებელი წესის 2.9 მუხლი ადგენს, რომ „აბიტურიენტის რეგისტრაციის გავლის შემდეგ, უნივერსიტეტი უფლებამოსილია უცხო ენის ფლობის დონის განსაზღვრის მიზნით, დააწესოს გამოცდა," აღნიშნული ჩანაწერიდან არ იკვეთება მთელი ის პროცესი, რაც დაწესებულების წარმომადგენელთა მიერ განმარტებულ იქნა ინტერვიუს პროცესში. ჩარიცხვის აღნიშნული წინაპირობა მიეთითება დაწესებულების მიერ მიღების გამოცხადების მიზნებისათვის სპეციალურ ანკეტა-კითხვარში, კანონმდებლობით დადგენილი წესით. შესაბამისად, ინფორმაცია აბიტურიენტებს მიეწოდებათ სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის საგამოცდო ცნობარის მეშვეობით და მათ წინასწარ იციან ეს მოთხოვნა, თუმცა მიზანშეწონილია პროგრამაში კიდევ უფრო მეტად დაკონკრეტდეს პროგრამაზე მიღების წინაპირობა უცხო ენის ნაწილში, კერძოდ, ზუსტად გაიწეროს მოთხოვნა შიდა გამოცდის ჩაბარების აუცილებლობის თაობაზე ან განისაზღვროს და მიეთითოს, თუ რომელ სერტიფიკატებს უღიარებს დაწესებულება პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველებს. ამასთან, ინტერვიუს პროცესში აღინიშნა, რომ იმ შემთხვევაში, თუკი აბიტურიენტი ვერც საერთაშორისო სერთიფიკატით და ვერც დონის განმსაზღვრელი გამოცდის ჩაბარების შედეგად ვერ დაადასტურებს ინგლისური ენის B2 დონეს, დაწესებულება უარს ეტყვის მას ჩარიცხვის თაობაზე.

ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა დასაშვებია სწავლების ერთი აკადემიური წლის დასრულების შემდეგ. მობილობა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, კანონმდებლობით დადგენილ ვადებში, შესაბამისი სავალადებულო პროცედურებისა და სასწავლო უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით. ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების/თანხმობის საფუძველზე.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიზნეს ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ენობრივი კომპეტენციის განსაზღვრის წესი;
- ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: https://alterbridge.edu.ge/regulatory-documents/;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია პროგრამაში მეტად დაკონკრეტდეს პროგრამაზე მიღების წინაპირობა უცხო ენის ნაწილში, კერძოდ, მიეთითოს შიდა გამოცდის ჩაბარების აუცილებლობა ან პროგრამაშივე განისაზღვროს თუ რომელ სერტიფიკატებს უღიარებს დაწესებულება პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველებს; ასევე მითითებულ იქნეს, რომ უცხო ენაში B2 დონის კომპეტენციის დაუდასტურებლობა აბიტურიენტთა მიერ, წარმოადგენს ჩარიცხვაზე უარის თქმის საფუძველს.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

√ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა შედგენილია სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. ბიზნესის ადმინისტრირენის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა მოიცავს 240 ECTS, რომელიც გადანაწილებულია 4 აკადემიური წლის, 8 სემესტრის განმავლობაში. ყოველ სემესტრში სტუდენტი საშუალოდ აგროვებს 30 კრედიტს. პროგრამის სტრუქტურა წარმოდგენილია შემდეგი სახით:

- ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები - 148 ECTS;
- თავისუფალი კომპონენტი (სავალდებულო), რომელიც ორიენტირებულია ზოგადი, ტრანსფერული უნარების განვითარებაზე - 18 ECTS;

- ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები 50 ECTS;
- არჩევითი სასწავლო კურსები / პროგრამის თავისუფალი კრედიტები - 24 ECTS, სადაც სტუდენტს საშუალება აქვს სასწავლო უნივერსიტეტში არსებული ნებისმიერი მომიჯნავე საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამიდან აირჩიოს მისთვის სასურველი ინგლისურენოვანი სასწავლო კურსი 24 კრედიტის ფარგლებში დაშვების წინაპირობის დაცვით.

პროგრამა ითვალისწინებს პრაქტიკის კომპონენტს (10 ECTS) და სრულდება საბაკალავრო ნაშრომით (10 ETCS). საბაკალავრო ნაშრომი ბაკალავრიატის საფეხურის დამამთავრებელი ეტაპია და მისი მიზანია სპეციალობაში მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის სისტემატიზაცია და კონკრეტული სამეცნიერო, ტექნიკური, ეკონომიკური თუ პროფესიული ამოცანების დასაბუთებული გადაწყვეტა. პრაქტიკა კი არის სასწავლო პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილი და წარმოადგენს სტუდენტის დაგეგმილ და მიზანმიმართულ საქმიანობას, რომელიც ემსახურება აკადემიურ გარემოში მიღებული თეორიული ცოდნის განმტკიცებასა და პრაქტიკული უნარების შეძენას. პროგრამაში წარმოდგენილია არჩევითი საგნების მოდული - სტუდენტებს საშუალება აქვთ, მათი ინტერესის შესაბამისად, გაიარონ სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები 50 კრედიტის მოცულობით (126 კრედიტიდან), ხოლო თავისუფალი კრედიტების ფარგლებში აირჩიონ სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელებადი საბაკალავრო პროგრამებიდან ინგლისურენოვანი სასწავლო კურსები, წინაპირობების დაცვით, 24 კრედიტის ოდენობით.

პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია საქართველოს კანონდებლობასთან, პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს, პროგრამის სტრუქტურა ლოგიკურად არის წარმოდგენილი, თუმცა ვინაიდან პროგრამა წარმოადგენს ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამას და ლოგიკურად ორიენტირებულია ისეთი კურსდამთავრებულების გამოშვებაზე, რომლებიც შეძლებენ ბიზნეს პროცესების სწორად ადმინისტრირებას, აღნიშნულის გათვალისწინებით, რეკომენდებულია, პროგრამის სპეციალობის ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსების მოდულიდან სასწავლო კურსი „ოპერაციების მართვა“ გადმოვიდეს ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების მოდულში. აღნიშნული გადაადგილება, ჩვენი აზრით, მდგრადად უზრუნველყოფს პროგრამის მიზნების სრულფასოვნად მიღწევას.

ალტერბრიჯი უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას უნივერსიტეტის ვებ-გვერდის მეშვეობით. პროგრამის შემუშავებაში ჩართული იყო ყველა დაინტერესებული მხარე (აკადემიური, მოწვეული პერსონალი, დამსაქმებელი, დაწესებულების სტუდენტები და სხვა).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიზნეს ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;

- ,,საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია“;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: https://alterbridge.edu.ge/regulatory-documents/;

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია სასწავლო კურსს ,,ოპერაციების მართვა“ შეეცვალოს სტატუსი და გახდეს პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსი;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

√ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების სილაბუსებში წარმოდგენილია ცალკეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები. შესაბამისად, პროგრამას თან ახლავს სასწავლო კურსების და პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა. ცალკეული სასწავლო

კურსის/კომპონენტის შინაარსი და კრედიტების მოცულობა შეესაბამება კონკრეტული კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. ასევე ადეკვატურია საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა და ითვალისწინებს სასწავლო კურსის სპეციფიკას.

გარდა ამისა, ცალკეული სასწავლო კურსების და პროგრამის სწავლის შედეგების რუკა ქმნის სრულ სურათს თუ როგორ, სად, რომელი სასწავლო კურსით ხდება პროგრამის ცალკეული სწავლის შედეგის გაცნობა, გაღრმავება და განმტკიცება. აღსანიშნავია, რომ პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი ვითარდება სამივე დონეზე. თუმცა, მიუხედავად ამისა, მოცემულ ნაწილში გვაქვს კონკრეტული მოსაზრებები, კერძოდ:

- როგორც წარმოდგენილი სასწავლო კურსების სილაბუსების შესწავლისას გამოიკვეთა, რეკომენდებულია ზოგიერთი სასწავლო კურსის (მაგალითად: ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები, საგარეო ვაჭრობა და პოლიტიკა) შინაარსის სრულყოფა ანუ კურსმა სრულად უნდა მოიცვას მისი სპეციფიკით გათვალისწინებული საკითხები (მაგ. ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლებში - ფინანსური და მარკეტინგის საკითხები ბიზნესში, ლიზინგი, ფრანჩაიზინგი და ა.შ., ასევე საგარეო ვაჭრობა და პოლიტიკის სასწავლო კურსში - მოცემულ კურსში გასაფართოებელია სავაჭრო შეთანხმებების ნაწილი მაგ. საქართველო-ჩინეთი, ასევე, სასაქონლო კოდები, მეთოდოლოგია და ა.შ.). ასევე ზოგიერთ სასწავლო კურსში (მაგალითად: ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები, ბიზნეს კომუნიკაციები, მეწარმეობა, ბიზნესის კვლევის მეთოდები, მარკეტინგის საფუძვლები, მეწარმეობა, ორგანიზაციული განვითარება, პროექტების მენეჯმენტი) საჭიროა სწავლის შედეგების დახვეწა, განვრცობა საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით;
- რეკომენდებულია პროგრამის სავალდებულო კომპონენტებისთვის ,,საბაკალავრო ნაშრომი“ და ,,პრაქტიკა“ დაკონკრეტდეს მოსალოდნელი სწავლის შედეგები და სრულად იქნეს აღნიშნული გათვალისწინებული პროგრამის სწავლის შედეგების განმტკიცების ნაწილში პროგრამის სასწავლო კურსების და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკაზე;

ასევე აღსანიშნავია, რომ პროგრამის ინგლისურენოვანი და ქართულენოვანი სილაბუსები აცდენილია ერთმანეთს, კერძოდ, კონკრეტული ხარვეზებია ქართულენოვან სილაბუსებში ძირითადად სწავლის შედეგების, გამოყენებული ლიტერატურის და ა.შ. ცალკეულ დეტალებში. მაგალითად, ადამიანური რესურსების მართვის ქართულენოვან სილაბუსში კურსის სასწავლო გეგმაში მითითებულ და გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალში მითითებული ლიტერატურა განსხვავებულია (აცდენილია). შესაბამისად:

- რეკომენდებულია, ერთმანეთთან შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის სასწავლო კურსების ინგლისურენოვანი და ქართულენოვანი სასწავლო კურსების სილაბუსები, კერძოდ, საჭიროა ქართულენოვანი სილაბუსები მოვიდეს შესაბამისობაში ინგლისურენოვან სილაბუსებთან.

პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა

უმეტესწილად დაფუძნებულია ბიზნესის ადმინისტრირების სფეროს უახლეს მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, თუმცა მთელ რიგ შემთხვევებში საჭიროა ცალკეულ სასწავლო კურსებში (ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები, მარკეტინგის საფუძვლები, ბიზნესის სტატისტიკა 1 და 2, მომხმარებლის ქცევა, ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები და ა.შ.) გამოყენებული სავალდებულო ლიტერატურის განახლება არსებული უახლესი გამოცემებით, გარდა ამისა, საჭიროა ყველა იმ სასწავლო კურსის სილაბუსში, სადაც არ არის დაკონკრეტებული გამოყენებული ლიტერატურის გამოცემის წლები, მოხდეს მათი გამოცემის წლების იდენტიფიცირება;
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ ბიზნეს ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; ▪ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ▪ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ▪ ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან; ▪ საბიბლიოთეკო რესურსის ონლაინ დათვალიერება; ▪ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: https://alterbridge.edu.ge/regulatory-documents/;
რეკომენდაციები: ▪ რეკომენდებულია ზოგიერთი სასწავლო კურსის (მაგალითად: ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები, საგარეო ვაჭრობა და პოლიტიკა) შინაარსის სრულყოფა. ასევე ზოგიერთ სასწავლო კურსში (მაგალითად: ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები, ბიზნეს კომუნიკაციები, მეწარმეობა, ბიზნესის კვლევის მეთოდები, მარკეტინგის საფუძვლები, მეწარმეობა, ორგანიზაციული განვითარება, პროექტების მენეჯმენტი) საჭიროა სწავლის შედეგების დახვეწა, განვრცობა საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით; ▪ რეკომენდებულია, ,,საბაკალავრო ნაშრომისა“ და ,,პრაქტიკისათვის“ დაკონკრეტდეს მოსალოდნელი სწავლის შედეგები და სრულად იქნეს აღნიშნული გათვალისწინებული პროგრამის სწავლის შედეგების განმტკიცების ნაწილში პროგრამის სასწავლო კურსების და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკაზე; ▪ რეკომენდებულია, ერთმანეთთან შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის სასწავლო კურსების ინგლისურენოვანი და ქართულენოვანი სასწავლო კურსების სილაბუსები, კერძოდ, საჭიროა ქართულენოვანი სილაბუსები მოვიდეს შესაბამისობაში ინგლისურენოვან სილაბუსებთან. ▪ რეკომენდებულია ცალკეულ სასწავლო კურსებში (ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები, მარკეტინგის საფუძვლები, ბიზნესის სტატისტიკა 1 და 2, მომხმარებლის

ქცევა, ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები და .აშ.), გამოყენებული სავალდებულო ლიტერატურის განახლება არსებული უახლესი გამოცემებით, გარდა ამისა, საჭიროა ყველა იმ სასწავლო კურსის სილაბუსში, სადაც არ არის დაკონკრეტებული გამოყენებული ლიტერატურის გამოცემის წლები მოხდეს მათი გამოცემის წლების იდენტიფიცირება;
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა მისი კურსდამთავრებულებისთვის უზრუნველყოფს როგორც პრაქტიკული, ისე კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას. კერძოდ, პროგრამაში სავალდებულო კომპონენტის სახით წარმოდგენილია, როგორც საბაკალავრო ნაშრომი, ისე პრაქტიკის კომპონენტი. საბაკალავრო ნაშრომის შესრულებამდე, სხვა სავალდებულო სასწავლო კურსებთან ერთად, პროგრამა ითვალისწინებს კვლევის მეთოდების შესწავლას, რაც კარგი წინაპირობაა კვლევითი ხასიათის საბაკალავრო ნაშრომის სათანადო დონეზე შესრულებისთვის. შესაბამისად, საბაკალავრო ნაშრომმა უნდა გამოავლინოს დასმულ საკითხებთან დაკავშირებული კვლევის მეთოდებისა და ექსპერიმენტების დაუფლების დონე და მომავალი პროფესიული საქმიანობის პირობებში სტუდენტის მზადყოფნა დამოუკიდებელი მუშაობისთვის. პრაქტიკის მიზანს კი წარმოადგენს სტუდენტების შეიარაღება პრაქტიკული უნარებით და მათი მომზადება მომავალი დამოუკიდებელი პროფესიული საქმიანობისთვის. პრაქტიკის განხორციელებაში ჩართულია სამი მხარე: უნივერსიტეტი, სტუდენტი და პოტენციური დამსაქმებელი/მიმღები

ორგანიზაცია/პრაქტიკის ობიექტი. პრაქტიკის პროცესს ობიექტზე ხელმძღვანელობს მენტორი, ხოლო უნივერსიტეტში პრაქტიკის ხელმძღვანელი. დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმები 40-ზე მეტ პოტენციური პრაქტიკის ობიექტთან, რომელშიც მითითებული პრაქტიკის მიზნები, დანიშნულება და ასევე, ზოგიერთ მათგანში დაკონკრეტებულია მისაღები სავარაუდო სტუდენტების რაოდენობაც. გარდა ამისა, პროგრამაში ტრანსფერული უნარების განვითარებაზეა ორიენტირებული ისეთი სავალდებულო სასწავლო კურსები, როგორიცაა: აკადემიური წერა და კეთილსინდისიერება, ინფორმაციული ტექნოლოგიები და ეფექტიანი წარდგენის ტექნიკა.

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ სასწავლო უნივერსიტეტი ჩართულია სხვადასხვა ტიპის პროექტებში ადგილობრივ თუ უცხოურ დონეზე, პერმანენტულად სთავაზობს სხვადასხვა აქტივობებს სტუდენტებს და აწყობს სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიზნეს ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიუ უნივერსიტეტის სტუდეტებთან;
- ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: https://alterbridge.edu.ge/;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში შემავალი თითოეული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. ცალკეული სასწავლო კურსის სილაბუსში დეტალურად არის გაწერილი სწავლა-სწავლების გამოყენებული მეთოდები, რომლებიც უზრუნველყოფენ დასახული სწავლის შედეგების მიღწევას. საგანმანათლებლო პროგრამას თან ახლავს სწავლება-სწავლის მეთოდების სწავლის შედეგებთან შესაბამისობის რუკა, სადაც დეტალურად არის ასახული თუ როგორი დონით უზრუნველყოფს პროგრამის ფარგლებში გამოყენებული სწავლებისა და სწავლის მეთოდები პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. ცალკეული სასწავლო კურსის ლექტორები სრულად არიან უნივერსიტეტის მხრიდან ინფორმირებული სწავლების თანამედროვე მეთოდების შესახებ და შესაბამისად, მათი გადაწყვეტილებით, სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებთ ხდება ამ მეთოდების გამოყენება. ინტერვიუების დროს გამოკითხული იქნა უნივერსიტეტის მომიჯნავე პროგრამების სტუდენტები, რომლებიც გამოხატავდნენ კმაყოფილებას უნივერსიტეტში დანერგილი სწავლებისა და სწავლის მეთოდებით. აღნიშნული იკვეთება ასევე სტუდენტთა კმაყოფილების კვლევებშიც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიზნეს ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიუ უნივერსიტეტის სტუდეტებთან;
- ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: https://alterbridge.edu.ge/;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

√ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში გამოყენებული სწავლის შედეგებისა და კომპეტენციების შეფასების სისტემა ეყრდნობა კანონმდებლობით აღიარებულ სისტემას და შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებულ შეფასებისა და კრედიტის მინიჭების სტანდარტებს.

შეფასების ფორმები და კრიტერიუმები დეტალურადაა გაწერილი სასწავლო კურსების/კომპონენტების სილაბუსებში. შუალედური და დასკვნითი შეფასებების გადანაწილება და კომპონენტები განისაზღვრება კურსის ლექტორის მიერ საკუთარი შეხედულებებისა და კურსის საჭიროებიდან გამომდინარე. სტანდარტულად, შუალედური და დასკვნითი შეფასებების ხვედრითი წილი შეიძლება იყოს 70/30 ან 60/40.

დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობაა შუალედური შეფასებებით კომპეტენციის ზღვარის დაძლევა. შუალედური შეფასების კომპეტენციის ზღვარი შეადგენს შუალედური შეფასებისთვის განსაზღვრული ქულების ჯამის 30%-ს. კრედიტის მინიჭების წინაპირობაა 100-დან არანაკლებ 51 ქულის დაგროვება და შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვა.

სტუდენტის ცოდნის შეფასებისას გამოიყენება შეფასების გამჭვირვალე კომპონენტები და კრიტერიუმები, უზრუნველყოფილია სტუდენტის ინფორმირებულობა მათი მიერ მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ. სასწავლო უნივერსიტეტში არსებული შეფასების კრიტერიუმები და კომპონენტები შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს და ის მრავალკომპონენტიანია. ამასთან, სასწავლო კურსში ლიდერობის საფუძვლები პრეზენტაციის უნარების შეფასებისას გამორჩენილია ერთ-ერთი შეფასების ბიჯი, კერძოდ, ბუნდოვანია რა შემთხვევაში ხდება 1-2 ქულის მიღება მოცემულ კომპონენტში, გამომდინარე აქედან სასურველია აღნიშნული ტექნიკური ხარვეზის დაკორექტირება.

აღსანიშნავია, რომ საბაკალავრო ნაშრომის შეფასების დროს გამოყენებულია შეფასების მრავალკომპონენტიანი სისტემა, კერძოდ, შეფასების პროცესში ჩართულია თემის ხელმძღვანელი (40 ქულა), რეცენზენტი (20 ქულა) და კომისიის წინაშე დაცვა (40 ქულა). აღნიშნული სისტემა რა თქმა უნდა იმსახურებს მოწონებას, თუმცა საბაკალავრო პროგრამის სტუდენტების რაოდენობის

გაზრდის შემდგომ, გართულდება მათი შესაბამისი რეცენზენტებით უზრუნველყოფა და შეფასების ხარისხის შენარჩუნება. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ არ არის აუცილებელი საბაკალავრო ნაშრომი, რომელიც თავისი კვლევითი ხასიათის მიუხედავად, პროგრამის სასწავლო კომპონენტია, შეფასებული იქნეს რეცენზენტის მიერ ცალკე. მოცემულ შემთხვევაში სრულიად საკმარისი იქნება საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელის მიერ შეფასება, უნივერსიტეტში არსებული ანტიპლაგიატის პროგრამაზე ,,თურნითინი" შემოწმება და კომისიის წინაშე წარდგენა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ ბიზნეს ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; ▪ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ▪ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ▪ ინტერვიუ უნივერსიტეტის სტუდეტებთან; ▪ ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან; ▪ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: https://alterbridge.edu.ge/;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ▪ სასურველია, საბაკალავრო ნაშრომი, რომელიც თავისი კვლევითი ხასიათის მიუხედავად, პროგრამის სასწავლო კომპონენტია, შეფასებული იქნეს მხოლოდ საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელის მიერ, მოხდეს მისი შემოწმება უნივერსიტეტში არსებული ანტიპლაგიატის პროგრამაზე ,,თურნითინი" და წარდგენილი იქნეს დასკვნითი შეფასებისათვის კომისიის წინაშე; ▪ სასწავლო კურსში ლიდერობის საფუძვლები პრეზენტაციის უნარების შეფასებისას გამორჩენილია ერთ-ერთი შეფასების ბიჯი, კერძოდ ბუნდოვანია რა შემთხვევაში ხდება 1-2 ქულის მიღება მოცემულ კომპონენტში, გამომდინარე აქედან სასურველია აღნიშნული ტექნიკური ხარვეზის დაკორექტირება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედებს სტრუქტურული ერთეული - აბიტურიენტთა და სტუდენტთა მომსახურების ცენტრი. სტუდენტური სერვისების ფარგლებში, ყველა დაინტერესებულ პირს ეძლევა დეტალური ინფორმაცია, როგორც აკადემიური მიმართულებით, ისე კურიკულუმის გარეშე და სტუდენტური ცხოვრების აქტივობების ირგვლივ საჭირო საკითხების მიმართულებით. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა ინფორმაცია მიიღონ სხვადასხვა ღონისძიებების შესახებ, რასაც ახორციელებს სასწავლო უნივერსიტეტი (დასაქმება, საერთაშორისო გაცვლითი პროგრამები, კონფერენციები, ტრენინგები და ა.შ.). მაგალითად, უნივერსიტეტში დაგეგმილია 2021 წლის 2-3 დეკემბერს რიგით მეორე სამეცნიერო კონფერენციის, თემაზე „ფსიქოლოგიის როლი მართვასა და კომუნიკაციაში“ გამართვა. ინფორმაცია უკვე განთავსებულია სასწავლო უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერძე. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს პროფესიული პროგრამების და კარიერული განვითარების ცენტრი, რომელიც ახორციელებს სხვადასხვა ტრენინგების, საზაფხულო სკოლების, მასტერკლასების, პროფესიული პროგრამების, კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებებს, დასაქმებისა და კარიერული წინსვლისათვის სტუდენტების დახმარებას. უნივერსიტეტში ტარდება დასაქმების ფორუმები, სადაც სტუდენტები

არიან ჩართულნი და აქვთ საშუალება გაეცნონ სხვადასხვა კომპანიების მიერ შემოთავაზებულ ვაკანსიებს.

სასწავლო უნივერსიტეტის ერთ-ერთი ძლიერი მხარეა დამსაქმებლები, მათ საკმაოდ დიდი ჯგუფი ჰყავთ კომპანიებისა, რომლებიც ჩართულნი იყვნენ პროგრამის სტრუქტურის ჩამოყალიბებაში. დამსაქმებლებთან შეხვედრა საკმაოდ საინტერესო იყო, ვინაიდან ექსპერტებს გვქონდა საშუალება დავრწმუნებულიყავით, რომ ისინი ნამდვილად იცნობენ პროგრამას და მათ გარკვეული მიმართულებები მისცეს პროგრამის განმახორციელებლებს, როგორიც არის მაგალითად, ქართული ბიზნეს ქეისების განხილვა პროგრამაში. ასევე აქვთ სრული მზაობა იმისა, რომ მისცენ საშუალება სტუდენტებს, მათ კომპანიებში გაიარონ სტაჟირება.

პროგრამა არის ახალი და ვერ შეფასდება პროგრამაში ჩართული სტუდენტების დამოკიდებულება პროგრამასთან მიმართებაში, თუმცა ექსპერტები შევხვდით სხვა პროგრამის სტუდენტებს. ისინი ძალიან კარგად ფლობდნენ ინფორმაციას ყველა იმ სასწავლო და საუნივერსიტეტო ღონისძიებების შესახებ, რასაც ახორციელებს ინსტიტუცია. სტუდენტებმა დადებითად დაახასიათეს უნივერსიტეტის ადმინისტრაცია და აკადემიური პერსონალი. ისინი თვლიან, რომ მნიშვნელოვანია ადმინისტრაციის ჩართულობა და მხარდაჭერა მათ სასწავლო პროცესში. სტუდენტებს, გარდა ძირითადი სასწავლო პროცესისა, შესაძლებლობა აქვთ გამოიყენონ დამატებითი საკონსულტაციო საათები. ისინი მუდმივ რეჟიმში იღებენ ინფორმაციას საერთაშორისო პროგრამების, კონფერენციების შესახებ, როგორც უნივერსიტეტის ვებ-გვერდიდან, ასევე ინდივიდუალურად, მეილების საშუალებით. გარდა ამისა, უნივერსიტეტს აქვს პლატფორმა, სადაც სტუდენტებს მიეწოდებათ ნებისმიერი ინფორმაცია სასწავლო პროცესთან დაკავშირებით. ამავე პლატფორმაზე ხელმისაწვდომია მათი შეფასებები, რომელთა ატვირთვა ხდება ერთი კვირის ვადაში. ასევე სტუდენტებს აქვთ საშუალება შეაფასონ სასწავლო კურსი და ამავე კურსის ლექტორი, რაც ხდება ყოველ სემესტრში. თუმცა აღნიშნავენ, რომ ჰყავთ ძალიან კვალიფიციური ლექტორები და არ შექმნიათ პრობლემა მათთან. დისტანციური სწავლების პერიოდში ძალიან მარტივად მოხდა ადაპტირება ონლაინ რეჟიმში სწავლაზე. თუმცა მათი სურვილია, რომ შეძლონ უნივერსიტეტში სიარული.

საგამოცდო პროცესი, რეგულაციების დაცვით, წარიმართა უნივერსიტეტში, ვინაიდან ონლაინ რეჟიმში რთულია ამ პროცესის გამჭვირვალეობის უზრუნველყოფა.

ახალი პროგრამის ფარგლებში საკმაოდ დეტალურად არის გაწერილი საბაკალავრო ნაშრომის მახასიათებლები, ასევე ნაშრომის გასაჩივრების მექანიზმი. დაწესებულებაში რექტორის 2020 წლის 20 იანვრის №1-01/05 ბრძანებით დამტკიცებულია საგამოცდო ნამუშევრის, ნაშრომის/პროექტის შედეგის გასაჩივრების პროცედურა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიზნეს ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;

- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიუ უნივერსიტეტის სტუდეტებთან;
- ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: https://alterbridge.edu.ge/;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

√ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე,

სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 33 პირი, აქედან 20 წარმოადგენს აკადემიურ პერსონალს, საიდანაც 19 აფილირებულია უნივერსიტეტთან (1 პროფესორი, 7 ასოცირებული პროფესორი, 5 ასისტენტ პროფესორი, 6 ასისტენტი), 13 კი - მოწვეულ სპეციალისტს. შესაბამისად, პროგრამის სავალდებულო წამყვანი კურსების აბსოლუტური უმრავლესობა იკითხება უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მიერ და მათი ჩართულობა შეესაბამება უსდ-ის შიდა რეგულაციებსა და კანონმდებლობას. პროგრამაში ჩართული პროფესორ-მასწავლებლების ინდივიდუალური ენის კომპეტენცია გამოიხატება ენის დამადასტურებელი სერტიფიკატის ქონით ან საზღვარგარეთ მიღებული განათლებით. საგანმანათლებლო პროგრამას გააჩნია აკადემიური და მოწვეული პერსონალის სემესტრულად განახლებადი დატვირთვის სქემა, რომელიც მოიცავს სასწავლო და/ან სამეცნიერო-კვლევით და სხვა დატვირთვას მათზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობებიდან გამომდინარე (აღნიშნული სტანდარტის შეფასებისას გათვალისწინებულია აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვა ყველა იმ უსდ-ში, სადაც ის არის დასაქმებული). პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირებს აქვთ სათანადო კვალიფიკაცია და პრაქტიკული გამოცდილება, რაც შესაბამისობაშია მათ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, ფუნქციებსა და მოქმედ კანონმდებლობასთან. აკადემიური პერსონალი წლების მანძილზე კითხულობს ლექციებს შესაბამის კურსებში, გამოქვეყნებული აქვთ სამეცნიერო შრომები სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივ გამოცემებში და მუდმივად იმაღლებს კვალიფიკაციას და ჩართულია სხვადასხვა სასწავლო და სამეცნიერო პროექტებსა და გრანტებში, აგრეთვე აქვთ მნიშვნელოვანი გამოცდილება არაფორმალური განათლების მიმართულებით. აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება მათი პირადი საქმეებით, ხოლო მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი ცოდნის, გამოცდილებისა და კომპეტენციის ქონით. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა

და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას. აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებაში. პერსონალისა და სტუდენტების თანაფარდობა, სამიზნე ნიშნულები დეტალურად გაწერილია დოკუმენტში აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების კონტიგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია. გათვლები გაკეთებულია 50 სტუდენტზე, ხოლო პროგრამა იხსნება 25 სტუდენტზე. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, მისი კვალიფიკაცია დასტურდება ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში შესაბამისი განათლებით, პრაქტიკული გამოცდილებით. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ ბიზნეს ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; ▪ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ▪ პროგრამაში მონაწილე აკადემიური/მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები; ▪ აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების კონტიგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია; ▪ სამუშაო აღწერილობები; ▪ აკადემიური მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა; ▪ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ▪ ინტერვიუ უნივერსიტეტის სტუდენტებთან; ▪ ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან; ▪ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: https://alterbridge.edu.ge/;
რეკომენდაციები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ ,,ალტერბრიჯში“ შემუშავებულია ,,აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების წესი“, რომლის ძირითადი მიზანია სასწავლო უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესისა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლება, სასწავლო უნივერსიტეტში სწავლისა და სწავლების დონის ხარისხის შეფასება. აკრედიტაციის პროცესში აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა, რომ ისინი ფლობენ ინფორმაციას შეფასების სისტემის შესახებ. ვინაიდან პროგრამა ახალია, გამოცდილება გაგვიზიარეს სხვა პროგრამაში არსებული შეფასების თაობაზე, რაც ეფუძნება ციკლს: “დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე” .

უნივერსიტეტში საფუძველი დაედო საერთაშორისო კონფერენციას და დაგეგმილია სამომავლოდ მსგავსი აქტივობები. უნივერსიტეტის ბიუჯეტში (5 წლის გათვლებით) განსაზღვრულია თანხების აკუმულირება კვლევასთან დაკავშირებული მივლინებების უზრუნველსაყოფად. აკადემიურ პერსონალს აქვს მიმდინარე საგრანტო პროექტები და კვლევები, საგრანტო პროექტების წილი წარმოადგენს საშუალოდ შემოსავლის 10%-ს. ,,ალტერბრიჯი“ აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური/მოწვეული პერსონალის და შეფასებას პერსონალის შეფასების წესის თანახმად. შეფასების შედეგები მუშავდება, დგება ანალიზის დოკუმენტები, რეკომენდაციები და ხდება რეაგირება ძლიერი მხარეების განსამტკიცებლად და სუსტი მხარეების გასაუმჯობესებლად.

სასწავლო უნივერსიტეტი მხარს უჭერს პერსონალის განვითარებას როგორც სამეცნიერო, ისე პედაგოგიური მიმართულებით. ინტერვიუს დროს ასევე ხაზი გაუსვეს სასწავლო უნივერსიტეტში დანერგილი კოლეგიალური შეფასების მნიშვნელობას და შესაბამისად იგეგმება აღნიშნული აქტივობების ჩატარება. გარდა ამისა, სასწავლო უნივერსიტეტში ყოველწლიურად ტარდება პერსონალის კმაყოფილების კვლევა, რითაც მათ საშუალება ექნებათ, გამოხატონ საკუთარი მოსაზრებები სხვადასხვა საკითხთან მიმართებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიზნეს ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამაში მონაწილე აკადემიური/მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები;
- აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების კონტიგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- სამუშაო აღწერილობები;
- აკადემიური მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიუ უნივერსიტეტის სტუდენტებთან;
- ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: https://alterbridge.edu.ge/;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

სასწავლო უნივერსიტეტის ორგანიზებითა და სრული დაფინანსებით ტრენინგებსა და სემინარებს ახორციელებს "ინოვაციური განათლების ცენტრი" და ,,ალტებრიჯის ტრენინგ ცენტრი". აღნიშნულ ტრენინგებსა და სემინარებზე აკადემიური პერსონალი ღებულობს მნიშვნელოვან კომპეტენციას სწავლის და სწავლების თანამედროვე მეთოდების შესახებ (შერეული სწავლება, დისტანციური სწავლება და სხვა), რომელთა დანერგვა მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს პროგრამის წარმატებულ განხორციელებაში. ტრენინგების ციკლი მოიცავს შემდეგ თემებს: აკრედიტაციისთვის საგანმანათლებლო პროგრამის მომზადება; კვლევის და კვლევითი პროექტების სწორად დაგეგმვა და განხორციელება; აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების განვითარება. იგეგმება ასევე აკადემიური პერსონალისთვის ახალი ტრენინგ მოდულების შექმნა და ტრენინგების ჩატარების ორგანიზება.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი ,,ალტერბრიჯი“ აღჭურვილია პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო თანამედროვე ტექნიკური და მატერიალური რესურსებით. მათ შორის, საკონფერენციო თუ კომპიუტერული ტექნიკით, თანამედროვე მედიათეკით, ბიბლიოთეკით, კეთილმოწყობილი სასწავლო აუდიტორიებით, აკადემიური პერსონალის სამუშაო ოთახებით, კომპიუტერული ცენტრით და ა.შ. სასწავლო უნივერსიტეტში დანერგილია და ფუნქციონირებს ელექტრონული სასწავლო პლატფორმა ELMS, სადაც ხდება სასწავლო კურსების მიხედვით სასწავლო მასალების ატვირთვა, ყოველკვირეული დავალებების გაწერა და უკუკავშირი. უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის ბეჭდური და ელექტრონულ მატარებლებზე არსებული ფონდი მოიცავს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების განხორციელებისათვის აუცილებელ ძირითად და დამხმარე ლიტერატურას. უზრუნველყოფილია საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობა და საერთაშორისო საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომა. ამასთან, აკრედიტაციისას შეფერხდა ბიზნეს კომუნიკაციების სასწავლო კურსის სილაბუსში მითითებული წიგნის მოკვლევა ბიბლიოთეკის ბაზაში, რაც უსდ-ს წარმომადგენლებმა ახსნეს, როგორც სილაბუსებში ლიტერატურის განახლების გამო არსებულ სამუშაო პროცესი. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა და ხელმისაწვდომობა, რომ ისარგებლონ საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებით. პროგრამა უზრუნველყოფილია საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსით რომელიც რაოდენობრივად და ხარისხობრივად უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება დისტანციურად; ▪ საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობის დამადასტურებელი დოკუმენტი; ▪ საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომა; ▪ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ▪ ინტერვიუ უნივერსიტეტის სტუდენტებთან; ▪ ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან;

- ინტერვიუ ბიბლიოთეკის ხელმძღვანელთან;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია დროულად განხორციელდეს ბიზნეს კომუნიკაციების სასწავლო კურსის სილაბუსში მითითებული ლიტერატურის სრული სინქრონიზაცია ბიბლიოთეკის ელ. ბაზებთან.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

√ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტში ასახულია პროგრამის როგორც განხორცილების, ისე მისი განვითარებისთვის საჭირო ხარჯები. ბიუჯეტი მოიცავს როგორც არსებული ადამიანური რესურსების შრომის ანაზღაურების, ასევე პერსონალის კვალიფიკაციისა და კვლევითი პოტენციალის ასამაღლებელ ღონისძიებათა დაფინანსებას, მატერიალური და სასწავლო რესურსების მართვის, მოვლის და განახლების ხარჯებს, ასევე მოთხოვნებს სასწავლო და ტექნიკური ლიტერატურის და აღჭურვილობის შესაძენად.

ბიუჯეტირების პროცესი გამჭვირვალეა და გაწერილია შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო უნივერსიტეტის დებულებაში. პროგრამის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო უნივერსიტეტის დებულება; ▪ პროგრამის ბიუჯეტი; ▪ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან; ▪ ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო უნივერსიტეტ ალტერბრიჯს შემუშავებული აქვს მარეგულირებელი აქტი ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების თაობაზე. აქტით განსაზღვრულია ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები, მიზნები, ძირითადი პრინციპები, მექანიზმების გამოყენების წესები და ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში ჩართული პირების უფლებები და მოვალეობები. აქტი ადგენს ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებს საგანმანათლებლო პროგრამების, პერსონალის, კვლევითი საქმიანობის, სასწავლო პროცესის, სტუდენტთა მომსახურებისა და უნივერსიტეტის მართვის პროცესის შეფასებისა და გაუმჯობესების მიზნით. ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი ეფუძნება PDCA ციკლს. დაწესებულებაში უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართული პერსონალის მონაწილეობა საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების პროცესში, ხოლო ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში განხორციელებული კვლევებისა და შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გაუმჯობესების მიზნებისათვის.

აქტის თანახმად, ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მიზნებია: სასწავლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფა და განვითარება ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობით; სასწავლო პროგრამებში კვალიფიციური აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართვა და მათი პროფესიული განვითარება; სასწავლო პროცესის გამართულობის უზრუნველყოფა და სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნა; სასწავლო უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესებისა და არსებული რესურსების ეფექტიანი გამოყენება; ასევე ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების მუდმივი განვითარება.
აღნიშნულის გათვალისწინებით, აქტი ადგენს, რომ დაწესებულებაში ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამების, პერსონალისა და მათი კვლევითი საქმიანობის, სწავლა-სწავლების პროცესის, სტუდენტური სერვისებისა და უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების გამართული მუშაობის მრავალმხრივი შეფასება. ამ პროცესის მიზნებისათვის დაწესებულებას შემუშავებული აქვს შეფასების განხორციელებისათვის საჭირო კითხვარების ფორმები.

საგანმანათლებლო პროგრამების, პერსონალისა და უნივერსიტეტის მუშაობის შეფასება, დადგენილი პერიოდულობით, ხორციელდება როგორც თავად პროგრამის განახორციელებაში ჩართული პირების, ისე სტუდენტების მიერ. გამოკითხვისა და შეფასების შედეგების თავმოყრასა და ანალიზს ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც საბოლოო შედეგებს წარუდგენს შესაბამის პასუხისმგებელ პირებს. ამასთან, დადგენილია, რომ მიღებული შედეგები და რეკომენდაციები გასათვალისწინებლად სავალდებულოა ადმინისტრაციული, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განმახორციელებელი ყველა რგოლისათვის.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს წესი, რომლის მიხედვითაც ხორციელდება საგანმანათლებლო

პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების პროცესები. აღნიშნული აქტის თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის ფარგლებში განისაზღვრება პროგრამის აქტუალობა, საჭიროება და აუცილებელი რესურსები, ხოლო პროგრამის აქტუალობისა და საჭიროების დადგენა ხდება შრომის ბაზრის მოთხოვნების კვლევის ანგარიშის საფუძველზე. ამასთან, გაწერილია ის ადმინისტრაციული პროცედურები, რომელსაც პროგრამა გადის დაგეგმვიდან მის საბოლოო დამტკიცებამდე, განსაზღვრულია ამ პროცესში ჩართულ პირთა უფლებები და მოვალეობები.

აქტი ითვალისწინებს დამტკიცებულ პროგრამაში ცვლილებების შეტანის, ასევე მისი გაუქმების შემთხვევაში ამ პროგრამაზე ჩარიცხული პირების კანონიერი ინტერესების დაცვისა და მათი სწავლების შემდგომი უზრუნველყოფის ღონისძიებებს. აღნიშნული ინტერესების დაცვის საფუძველს ასევე ქმნის დაწესებულებაში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი აქტი, სადაც მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით, გაწერილია შესაბამისი ქმედებები და ღონისძიებები, რომლის განხორციელებაც ევალება უნივერსიტეტს.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ დაწესებულების მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები წარმოადგენს სრულ ჩამონათვალს, მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში სტუდენტებისათვის სწავლის შემდგომი გაგრძელების შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად.

როგორც აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში სხვადასხვა ფოკუსჯგუფებთან განხორციელებული ინტერვიუს შედეგები ცხადყოფს, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამისა და თვითშეფასების განაცხადის შემუშავებაში ჩართული იყო ყველა შესაბამისი რგოლი, მათი კომპეტენციების ფარგლებში. პროგრამის შემუშავების მიზნებისათვის დაწესებულებას განხორციელებული აქვს ბაზრის კვლევა, რომელიც წარმოადგენს ანალიზს დასაქმების ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების, საჭიროებებისა და მოლოდინების თაობაზე. პროგრამის შემუშავების პროცესში ასევე გამოკითხულ იქნა დაწესებულების სხვა პროგრამის სტუდენტები მათი საჭიროებების თაობაზე, ხოლო პროგრამის კურიკულუმი აგებულ იქნა პროგრამაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ერთად.

შეჯამების სახით, აღსანიშნავია, რომ დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების მომწესრიგებელი აქტი ადგენს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკას, შესაბამის მექანიზმებს, ასევე ამ მექანიზმების გამოყენების წესებსა და პირობებს, რაც პროცესს ხდის ერთგვაროვანსა და გამჭვირვალეს და ქმნის ხარისხის უზრუნველყოფის ერთიან სისტემას. ამ სისტემის ფუნქციონირების პროცესში კი პერსონალსა (ადმინისტრაციული თუ აკადემიური) და სტუდენტებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველყოფაში საკუთარი ფუნქციის განხორციელებასა და წვლილის შეტანაზე. აღნიშნული ფუნქციები მკაფიოდ გაწერილი და განსაზღვრულია მათი ადრესატებისათვის. ამ ყველაფრის ერთობლიობა კი მთლიანობაში წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფის ერთიან შიდა სისტემას, რომელიც ფუნქციონირებისათვის იყენებს PDCA ციკლის პრინციპებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები • ბიზნეს ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; • პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; • დაწესებულების მარეგულირებელი აქტი ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების თაობაზე; • საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი; • ხარისხის მართვის სამსახურის კვლევების შედეგები; • სასწავლო პროცესის მარეგულირებელი აქტი; • ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; • ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან; • უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: https://alterbridge.edu.ge/regulatory-documents/
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, გარე შეფასების მექანიზმს წარმოადგენს აკრედიტაცია, რომელსაც იყენებს დაწესებულება. შესაბამისად, პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება განხორციელდა მოქმედი სააკრედიტაციო სტანდარტების შესაბამისად. ამასთან, დაწესებულების წარმომადგენელთა განცხადებით, პროგრამა შეფასებისათვის წარედგინა უნივერსიტეტის პარტნიორ უცხოურ საგანმანათლებლო დაწესებულებას (ADIZES GRADUATE SCHOOL).
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ბიზნეს ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; • პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; • დაწესებულების მარეგულირებელი აქტი ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების თაობაზე; • საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი; • ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; • ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან; • უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: https://alterbridge.edu.ge/regulatory-documents/
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დღეის მდგომარეობით, ალტერბრიჯის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტები არ ირიცხებიან. შესაბამისად, პროგრამის მონიტორინგთან დაკავშირებული საკითხების შეფასება ვერ განხორციელდა, თუმცა თვითშეფასების ანგარიშზე დაყრდნობით, ინტერვიუს პროცესში განხორციელდა ზოგადად უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგის პოლიტიკისა და დანერგილი პროცედურების შეფასება.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შესახებ აქტის თანახმად, პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება მოიცავს პროგრამაში ჩართული ყველა დაინტერესებული მხარის: აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების შეხედულებების სისტემატურ კვლევას, მონაცემების დამუშავებასა და ანალიზს. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის ხარისხის გასაუმჯობესებლად. ყოველი სემესტრის ბოლოს სტუდენტები აფასებენ განვლილ კურსებს ელექტრონული კითხვარის მეშვეობით, აფიქსირებენ საკუთარ მოსაზრებებსა და რეკომენდაციებს, ხოლო აკადემიური წლის ბოლოს ხორციელდება მთლიანი პროგრამის შეფასება. ამ პროცესში მონაწილეობენ სტუდენტები, კურსდამთავრებულები, მოწვეული და აკადემიური პერსონალი. გარდა აღნიშნულისა, სტუდენტებს ეძლევათ საშუალება ანონიმურად დააფიქსირონ თავიანთი მოსაზრებები მათთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით. აღნიშნული მონაცემები გროვდება ხარისხის სამსახურის მიერ და საბოლოო ანალიზის შედეგების წარედგინება პროგრამის განმახორციელებელ პირებს.

უნივერსიტეტში დადგენილი წესების თანახმად, პროგრამის შემუშავების ეტაპზე განხორციელდა შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა კვლევა. აღნიშნული კვლევის შედეგები გათვალისწინებულ იქნა დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმის დაგეგმვისას, სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისას. ამასთან, დამსაქმებლები ინტერვიუს პროცესში ადასტურებენ უნივერსიტეტთან ინტენსიური თანამშრომლობის ფაქტს, არამხოლოდ სტუდენტთა პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების ნაწილში, არამედ პროგრამის შინაარსობრივი შეფასებისა და განვითარების ჭრილშიც. გარდა აღნიშნულისა, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შესახებ აქტი ადგენს, რომ დამსაქმებელთა გამოკითხვა ხდება პროგრამის მოქმედების პროცესშიც. დამსაქმებელი აფასებს ალტერბრიჯის კურსდამთავრებულის უნარებსა და კომპეტენციებს, რომელიც მის კომპანიაში დასაქმდება. დამსაქმებელთა მიერ წარდგენილი კონკრეტული რეკომენდაციების შემთხვევაში, საჭიროებისამებრ, პროგრამის ხელმძღვანელი და სამუშაო ჯგუფი განიხილავს პროგრამაში შესაბამისი ცვლილებების შეტანის საკითხს. აქტით დადგენილია, რომ დამსაქმებელი პერიოდულად აფასებს პროგრამას, რადგან ერთი მხრივ, შრომის ბაზრის მოთხოვნები შეიძლება შეიცვალოს, მეორე მხრივ კი პროგრამამ განიცადოს მოდიფიცირება სხვადასხვა მიზეზთა გამო. ამ შემთხვევაში, შეფასების ფორმატი და პერიოდი გადაწყდება პროგრამის ხელმძღვანელის

ინიციატივის საფუძველზე. უნივერსიტეტი გამოკითხვებს ატარებს იმ დამსაქმებლებთან, რომლებთანაც სასწავლო უნივერსიტეტს პროგრამების პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების, სტაჟირების ან/და შემდგომი დასაქმების მიზნით გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები. ამასთან, პროგრამა შედარებული იქნა ალტერბრიჯის პარტნიორ უცხოური საგანმანათლებლო დაწესებულების ანალოგიურ პროგრამასთან და შეფასდა ასევე უცხოელი ექსპერტის მიერ. კერძოდ, პროგრამის შემუშვების ფარგლებში, ალტერბრიჯის მიერ განხილულ იქნა, საზღვარგარეთ მოქმედი ანალოგიური პროგრამები შემდეგ უნივერსიტეტებში: University of California, Berkley; University of Pensylvania, Wharton; Tepper School of Business ; University of Michigan-Dearborn; University of Economics and Human Sciences in Warsaw; Penn State, Business School; Ashworth College; Stern New York University; Columbia University; South University; University of Ilinois, Chicago. როგორც დაწესებულება პროგრამების ანალიზის დოკუმენტში უთითებს, აღნიშნული უნივერსიტეტები ანალოგიურ პროგრამებში ძირითად აქცენტს აკეთებენ ბიზნეს გარემოს სიღრმისეულ შესწავლაზე, კურსები და სასწავლო კომპონენტი მორგებულია როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბიზნეს გარემოსა და მასში მოქმედი აგენტების, მათი გავლენისა და შესაძლებლობების შესწავლაზე. შესაბამისად, არსებული გამოცდილება გაზიარებულია წარმოდგენილ პროგრამაში.
სამომავლოდ უნივერსიტეტის ასევე გეგმავს პროგრამის განვითარების მიზნებისათვის კოლეგიალური შეფასებების განხორციელებასაც.

ამასთან, დამსაქმებლებთან ინტერვიუს შედეგები ადასტურებს, რომ ისინი აქტიურად თანამშრომლობენ ალტერბრიჯთან, მათ შორის, შეფასებულ იქნა სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამაც. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა არ არის მოქმედი და არ ჰყავს სტუდენტები, რის გამოც ამ პროგრამასთან მიმართებაში წინამდებარე სტანდარტით გათვალისწინებული რიგი კომპონენტების შეფასება (სტუდენტების, კურსდამთავრებულების გამოკითხვები, ლექტორთა შეფასებები, პროგრამისა და სწავლის შედეგების შეფასება და. სხვ.) ვერ განხორციელდება, აღსანიშნავია, რომ დაწესებულებაში შექმნილი და დანერგილია ხარისხის უზრუნველყოფის მიზნებისათვის მონიტორინგის ერთიანი სისტემა. აღნიშნული გულისხმობს პირველ რიგში ამ პროცესის ფორმალური მხარის დაკმაყოფილებას მარეგულირებელი აქტების სახით, სადაც გაწერილია რა კომპონენტებისგან შედგება აღნიშნული სისტემა, რა არის ამ მონიტორინგის მიზანი, რა მეთოდებით, რა პერიოდულობით, ვისი ჩართულობითა და პასუხისმგებლობით ახორციელებს დაწესებულება ამ პროცესს, ხოლო განხორციელებული მონიტორინგის შედეგები ვის წარედგინება, როგორია ამ შედეგების გაანალიზებისა და შემდგომი რეაგირების პროცესი და როგორ ხდება მათი გამოყენება პროგრამის განვითარების მიზნებისათვის. განსაზღვრულია სემესტრული თუ წლიური შეფასებისა და გამოკითხვების მასშტაბი, პროგრამის შეფასება ხდება სრულად, ასევე ცალკეული კომპონენტების შემოწმების მიზნით. ამასთან, აღსანიშნავია, რომ დაწესებულება ახორციელებს არა მხოლოდ პროგრამის

აკადემიური შედეგების შეფასებას მისი ბენეფიციარების მიერ, არამედ ზოგადად, უნივერსიტეტის მუშაობას და ამ მუშაობით კმაყოფილების კვლევას სტუდენტებისა და პერსონალის მიერ. ამდენად, დაწესებულებაში დანერგილი ხარისხის უზრუნველყოფის კულტურა და შესაბამისი სისტემის მოქმედება იძლება დასაბუთებული ვარაუდის საშუალებას, რომ უნივერსიტეტი აღნიშნული პროგრამის განხორციელების პროცესშიც უზრუნველყოფს ყველა იმ პროცედურის განხორციელებას პროგრამის მონიტორინგისა და განვითარების მიზნებისათვის, რაც დადგენილია შიდა რეგულაციებით და ერთიანი დაწესებულების მიერ განხორციელებული ყველა პროგრამისათვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ ბიზნეს ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; ▪ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ▪ დაწესებულების მარეგულირებელი აქტი ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების თაობაზე; ▪ საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი; ▪ ხარისხის მართვის სამსახურის კვლევების შედეგები; ▪ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი აქტი; ▪ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ▪ ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან; ▪ სხვადასხვა ფოკუსჯგუფების გამოკითხვის შედეგები; ▪ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: https://alterbridge.edu.ge/regulatory-documents/
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი ალტერბრიჯი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება, საფეხური:

ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 43

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ვასილ კიკუტაძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

ნათია დაღელიშვილი

სოფიო უგრეხელიძე

თამარ თავხელიძე